პირველი მატჩი

17 აპრილი. ამ დღეს გაიხსნა სეზონის ყველაზე წარმტაცი და ყველაზე ხანგრძლივი შეჯიბრება - სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. დღის სამი საათიდან ხალხმა სტადიონისაკენ დაიწყო დენა.

სტადიონის საპარადო თაღქვეშ აფრიალდა წითელი დროშა. კოლონას თეთრ მაისურებში გამოწყობილი მოსკოვის ტორპედოელები მიუძღოდნენ. მათ მოჰყვებოდნენ თბილისის დინამოელები. აი, საქართველოს ფეხბურთელთა სიამაყე ბ. პაიჭაძე. მას მხარს უმშვენებენ ა. ღოღობერიძე, გ. გაგუა, ი. სარჯველაძე და სხვ. პარადში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს პირველობის გათამაშების მონაწილეებმა: ქუთაისის, სტალინირის, ფოთისა და სხვა გუნდებმა. კოლონის ბოლოში შესანიშნავი მწყობრით მოდიოდნენ თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის ნორჩი ფეხბურთელები.

ფეხბურთელებს მიესალმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფარულავა. შემდეგ თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "ტორპედოს" კაპიტნებმა - სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ბ. პაიჭაძე და ა. პონომარიოვმა საქართველოს ჰიმნის ჰანგებს ქვეშ აღმართეს შეჯიბრების დაწყების ალამი. ასეთივე ალმები აღიმართნენ ამავე დროს მოძმე რესპუბლიკების ქალაქებში - სტალინგრადში, კიევში, ხარკოვში, ბაქოსა და ერევანში.

მსაჯი ვ. არხიპოვის (მოსკოვი) ნიშანზე მოედანზე შემორბიან მოსკოვის "ტორპედოსა" და თბილისის "დინამოს" გუნდები. ეს ძველი მოწინააღმდეგეები უკვე ოცჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. თერთმეტჯერ თბილისელებმა გაიმარჯვეს, ექვსჯერ - მოსკოველებმა, სამი თამაში კი ფრედ დამთავრდა. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება - 41:33 თბილისელთა სასარგებლოდ.

თამაში დაზვერვით დაიწყო. ორივე გუნდი ეძებს სუსტ ადგილს. იერიშზე თბილისელები გადადიან. ბურთი სტუმრების კარის წინ ტრიალებს. პანიუკოვი აწვდის ჯარიმას, პაიჭაძე ძლიერად ურტყამს კარში, მაგრამ მოსკოველთა მეკარე ლეკსოვსკი იღებს ბურთს. ამ დარტყმას მოჰყვა ზაზროშვილის, მახარაძისა და პაიჭაძის მიერ გათამაშებული კომბინაცია, მაგრამ ანგარიში ჯერჯერობით მაინც არ იხსნება.

თბილისელები არ ანელებენ თამაშის ტემპს, გამუდმებით უტევენ მოწინააღმდეგეს. დაცვა ეხმარება თავდასხმას. ბურთს იღებს პანიუკოვი, გადის მარჯვენა ფრთაზე და აწვდის პაიჭაძეს, იგი კარში ურტყამს. ლეკსოვსკი იღებს ძნელ ბურთს, მაგრამ ხელიდან უვარდება. ამ დროს მიუსწრო თოდრიამ და ანგარიში გაიხსნა...

გატანილ იქნა სეზონის პირველი ბურთი. მოსკოველებმა მარცხს მძაფრი იერიშით უპასუხეს, მიუხედავად იმისა, რომ თბილისელთა დაცვა ფხიზლად იდგა, პონომარიოვი მაინც ახერხებს მის გარღვევას და რამდენიმეჯერ ძლიერად ურტყამს კარში, მაგრამ მარღანია ბრწყინვალედ თამაშობს - ბურთს ბურთზე იღებს.

ტაიმის მიწურულში სურათი შეიცვალა. მოსკოველებმა ძალა მოიკრიბეს და იერიში მარცხენა ფრთიდან დაიწყეს, წარმატებას მიაღწიეს: პონომარიოვმა იშვიათი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

თამაშის მეორე ნახევარში ინიციატივა კვლავ თბილისელთა ხელშია. ისინი ფლანგიდან უტევენ, მაგრამ კარში არაზუსტი დარტყმების შედეგად ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. სამაგიეროდ პონომარიოვი მეათე წუთზე კვლავ ახერხებს

თბილისელთა საჯარიმო მოედანზე გაჭრას, იღებს მარჯვნიდან მოწოდებულ ბურთს და ძლიერად ურტყამს კუთხეში - 2:1 მოსკოველთა სასარგებლოდ.

სტუმრებმა, გაადიდეს რა ანგარიში თავის სასარგებლოდ, მისი შენარჩუნების ყველა ხერხს მიმართეს - ბურთს ხშირად გვერდითი ხაზის იქეთ ტყორცნიდნენ და ამით დრო გაჰყავდათ. მათი ასეთი მოქმედების საპასუხოდ თბილისელები კვლავ იერიშზე გადავიდნენ და ზაზროშვილმა გაათანაბრა ანგარიში. მალე გარღვევაზე გავიდა პონომარიოვი და დაბალი ძლიერი ბურთი გაგზავნა თბილისელთა კარში. მარღანია ვეფხვის ნახტომს აკეთებს და "მკვდარ" ბურთს შესანიშნავად იღებს.

2:2. ასე დამთავრდა შეხვედრა. გუნდებმა თითო ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 19 აპრილი, 1949 წ.